სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
360.160.000.11.104.005.567

# საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №01/01-01/145–№104–№23–№315/ნ

2002 წლის 12-7-1-8 ნოემბერი

ქ. თბილისი

## ,,ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

,,ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წ., №30/37) მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე" **ვბრძანებთ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია ,,ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ".
2. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტის სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**გ. გაჩეჩილაძე**

**ნ. ჩხობაძე**

**ა. ბეჟანიშვილი**

**ა. გამყრელიძე**

## ინსტრუქცია ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ

### თავი I
### ზოგადი ნაწილი

**მუხლი 1. ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც და რომლის შესასრულებლადაც მიღებულ იქნა ინსტრუქცია „ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების შესახებ"**

ინსტრუქცია მიღებულია „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულების მიზნით.

**მუხლი 2. ინსტრუქციის რეგულირების საგანი**

ინსტრუქცია არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) პირებს შორის, ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის სფეროში.

**მუხლი 3. საკანონმდებლო სისტემა ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში**

ინსტრუქცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, „გარემოს დაცვის შესახებ", „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

**მუხლი 4. ინსტრუქციის მიზანი და ამოცანა**

1. ინსტრუქციის მიზანია უზრუნველყოს ავარიის თავიდან აცილება და/ან ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შედეგების შემცირება/ლიკვიდაცია ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით.

2. ინსტრუქციის ამოცანაა უზრუნველყოს ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების განსაზღვრა.

**მუხლი 5. ძირითად ტერმინთა განმარტებანი**

ა) „ატმოსფერული ჰაერი" – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) „სახიფათო დანადგარი" – ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებით დაბინძურების წყაროები, დანადგარები ან მოწყობილობები, რომლებსაც შეუძლიათ ისეთი სახიფათო მდგომარეობის გამოწვევა გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით, რომლისთვისაც საკმარისია თავიდან აცილების ზომების გატარება, გარდა ატომური და სამხედრო დანადგარებისა ან მოწყობილობებისა და სახიფათო ნარჩენების საცავებისა;

გ) „მავნე ნივთიერება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შესაძლებელია მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

დ) „ავარიული დაბინძურება" – სახიფათო დანადგარზე ავარიის შედეგად ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებით დაბინძურება;

ე) „საუკეთესო ტექნოლოგია" – გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ დანერგილი, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის;

ვ) „საუკეთესო ტექნიკა" – საუკეთესო ტექნოლოგია და მისი მართვის, ორგანიზაციის, ზედამხედველობის, კონტროლის მეთოდები და განხორციელების საშუალებები;

ზ) „სახიფათო დანადგარის მფლობელი" – არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს დანადგარს ან მოწყობილობას და პასუხისმგებელია მის სწორ ექსპლუატაციაზე;

თ) „გარემოზე პოტენციურად მავნე ზეგავლენის მქონე საქმიანობა" – ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის ისეთი საქმიანობის დაგეგმვა, წარმართვა ან შეწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია ან შესაძლებელია გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის ავარიული დაბინძურება.

**მუხლი 6. ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის წესების პრინციპები**

პოტენციურად მავნე ზეგავლენის მქონე საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ფიზიკური და იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანოები და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ „გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი გარემოს დაცვისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპებით.

## თავი II
## ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები და ვალდებულებები ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში

**მუხლი 7. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში**

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში განისაზღვრება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

**მუხლი 8. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებები ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში**

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ვალდებულებები ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ავარიული გაფრქვევის შემთხვევისას ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში განისაზღვრება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

## თავი III
## ძირითადი ნაწილი

**მუხლი 9. ავარიის შემთხვევის თავიდან აცილება**

1. სახიფათო დანადგარების ან მოწყობილობების მფლობელები შეიმუშავებენ შესაძლო ავარიის თავიდან აცილების პროგრამას და სტრატეგიებს, რომლებიც აგრეთვე მოიცავს ავარიული მზადყოფნის და ავარიაზე რეაგირების გეგმებს, ათანხმებენ მათ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ან მათ ტერიტორიულ ორგანოსთან (მათი კომპეტენციის შესაბამისად) და განახორციელებენ მათ.

2. ავარიული მდგომარეობის თავიდან აცილების პროგრამა და სტრატეგიები წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესაბამის ორგანოებნთან შეთანხმებულ გასატარებელ ზომებს, რომლებსაც შეიმუშავებს და გაატარებს სახიფათო დანადგარის მფლობელი და რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო ტექნოლოგიების და ტექნიკის დანერგვას და სხვა სათანადო ზომებს გარემოზე შესაძლო ავარიული დაბინძურების უარყოფითი ზეგავლენის მინიმიზაციის მიზნით.

3. ავარიის შედეგად დაბინძურების თავიდან აცილების ან მინიმიზაციის მიზნით გასატარებელი სათანადო ზომები დამოკიდებულია ამ ზომების გატარების გარემოებებზე, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მასშტაბებზე. სახიფათო დანადგარის მფლობელსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ავარიული მდგომარეობის თავიდან აცილების სტრატეგიების შესახებ შეთანხმების პროცესში ხელი უნდა შეეწყოს გონივრული, ეკონომიკურად ეფექტური გასატარებელი ზომების შერჩევას, რომელიც განაპირობებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს ადეკვატურ დაცვას.

**მუხლი 10. ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის რისკის შეფასება, მისი შემცირების ღონისძიებები და რეაგირების გეგმა**

1. სახიფათო დანადგარის მფლობელმა უნდა გაითვალისწინოს მისი საქმიანობის შესაძლო უარყოფითი შედეგები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ, ადგილსამყოფლის შერჩევის, არსებული ხელმისაწვდომი რესურსებისა და იმ პროგნოზირებადი რისკების თვალსაზრისით, რომელიც წარმოიშვება საქმიანობის წარმოების პროცესში, გაატაროს ყველა ზომა ავარიის რისკის მინიმიზაციის და გარემოზე უარყოფითი შედეგების შემცირებისათვის.

2. ყველა სახიფათო დანადგარისათვის უნდა იქნეს შემუშავებული ავარიული მზადყოფნის და ავარიაზე რეაგირების ადეკვატური გეგმები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო ავარიის მოსალოდნელ სცენარებს. ავარიული მზადყოფნის და ავარიაზე რეაგირების გეგმის შემუშავება და განხორციელება წარმოებს სახიფათო დანადგარის მფლობელის მიერ.

3. ავარიული მზადყოფნის და ავარიზე რეაგირების გეგმები თანხმდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ორგანოებთან (მათი კომპეტენციის შესაბამისად) 5 წელიწადში ერთხელ. ყოველი შემდგომი პერიოდისათვის სახიფათო დანადგარის მფლობელი გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსა და/ან მისი ტერიტორიალური ორგანოებისაგან მიიღებს სათანადო რეკომენდაციებს და/ან უფრო მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებას პრაქტიკული განხორციელების მიზნით, იცავს სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებს.

4. ავარიაზე რეაგირების გეგმა უნდა მოიცავდეს სახიფათო დანადგარ(ებ)ის განთავსების ადგილის გეგმას სათანადო მასშტაბში მათი რაოდენობისა და განლაგების მითითებით, გარშემო არსებული რაიონის და დასახლებული პუნქტების მიმართებაში. გეგმა უნდა მოიცავდეს წერილობით ინფორმაციას შესაძლო ავარიის შეფასების შესახებ და, აგრეთვე ინფორმაციას ყოველი მავნე ნივთიერების შესახებ, მათ შორის: მავნე ნივთიერებებთან მოპყრობის, მათი შენახვის პირობების, გაუვნებელყოფის, დამუშავების და სხვა სათანადო ინფორმაციას; უნდა იქნეს მითითებული სახიფათო დანადგარ(ებ)ის ავარიული გამორთვის, სამუშაო რეჟიმიდან გამოყვანის წესი; უნდა იქნეს აღწერილი ანალიტიკური ხელსაწყოების მზადყოფნის პირობები და ის ინფორმაცია, რომლის მიღებაც შესაძლებელია გახდეს საჭირო ავარიული მდგომარეობის დროს და სხვა სათანადო ინფორმაცია.

5. სახიფათო დანადგარების მფლობელები რეაგირების გეგმის კონტექსტში შეიმუშავებენ თავისი პერსონალის სწავლების და მომზადების პროგრამებს და განახორციელებენ მათ.

6. რეაგირების გეგმის კონტექსტში სახიფათო დანადგარ(ებ)ის მფლობელი შეიმუშავებს მოსალოდნელი რისკის შესახებ მოსახლეობის გათვითცნობიერების, აგრეთვე ავარიის შემთხვევაში გარემოსათვის შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების, მოსახლეობის ქცევისა და მოქმედებების შესახებ პროგრამებს, და განახორციელებენ მათ.

**მუხლი 11. ავარიის შემთხვევაში წარმოქმნილი მავნე შედეგების წინააღმდეგ მოქმედება**

1. ავარიის შემთხვევაში სახიფათო დანადგარის მფლობელი მოქმედებს ავარიული მზადყოფნის და ავარიზე რეაგირების გეგმის შესაბამისად როგორც ადგილსამყოფლის შიგნით, აგრეთვე მის

ფარგლებს გარეთ. ავარიის შედეგების შესაბამისად იგი დაუყოვნებლივ აწვდის სათანადო ინფორმაციას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესაბამის ორგანოებს; იკვლევს ავარიის შედეგებს და განსაზღვრავს ავარიის გამომწვევ მიზეზებს მოვლენათა სრულ თანამიმდევრობაში, მათ შორის, უნდა განისაზღვროს შესაძლო „ადამიანის შეცდომის" განმაპირობებელი ელემენტები (ფსიქოლოგიური ფაქტორები, მომზადების დონე, არასწორი ქმედებები, პროექტის ერგონომიური უზრუნველყოფა, ტექნოლოგიის სისუსტე, კომუნიკაციის პრობლემები, მართვის შეცდომები, უსაფრთხოების არაკორექტული მიზნები და სხვა ანალოგიური ფაქტორები).

2. ავარიის შემთხვევაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების შესაბამისმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ინფორმაცია სახიფათო დანადგარის მფლობელისაგან გატარებული ზომების და მათი შედეგების შესახებ, გადასცენ ინფორმაცია დაინტერესებულ უწყებებს (კომისიებს), ორგანიზაციებსა და პირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანო(ები)ს მიერ ავარიის შედეგების წინააღმდეგ ძირითადი და საბოლოო მოქმედებების ჩატარების შემდეგ შედგება წერილობითი ანგარიში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის სახელზე 10 დღის განმავლობაში. ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ავარიის ადგილი და დრო; მონაცემები სახიფათო დანადგარის მფლობელის შესახებ (მფლობელის/საკონტაქტო პირის გვარი, სახელი და/ან სახელწოდება, მისამართი, აქტიური ტელეფონი, ფაქსი და ელექტრონული ფოსტა); სახელმწიფო ორგანოების (კომისიების) ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები (ავარიის მიზეზები, მისი ხასიათი და მასშტაბი, გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე დადგენილი მავნე შედეგები, კერძოდ, ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურების მონაცემები (მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მახასიათებლები) და მავნე ზემოქმედება ცოცხალ (ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ ან სიკვდილის შემთხვევათა ჩათვლით) და არაცოცხალ გარემოს კომპონენტებზე, მისი მასშტაბები.

4. ავარიის შედეგად გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

5. ავარიის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი (ორგანო) უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას მასმედიის საშუალებით.

**მუხლი 12. პასუხისმგებლობა ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

## თავი IV
## დასკვნითი ნაწილი

**მუხლი 13. ინსტრუქციაში ცვლილებების და დამატებების შეტანა**

ინსტრუქციაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.